

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ქუთაისის ფილიალი

2006 წლის ანგარიში

სარედაქციო ჯოჯაგია:

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი
ტექ. რედაქტორი: ირინე სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: მადონა ბასილაძე
ნოდარ ჯიქია



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციაში
ნინოშვილის ქ.3 ქუთაისი 4600 საქართველო
(231) 4 11 92
ტირაჟი 100 ცალი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,
ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

წინასიტყვაობა

მოგესალმებით საქართველოს ანაღვანრდა ოერისტთ ასოციაციის ქუთაისის ფილიალის 20-ს საერთო კრების მინაწილეებს.

წელს საიას ქუთაისის ფილიალს 10 წელი შეუსრულდა. გლოტავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

არსებობის 10 წლის მანძილზე იყო თავდაუზოგავი შრომა, ბრძოლა... იყო კრიტიკა და, რაც მთავარია, იყო მხარდაჭერა, რითაც შესაძლებელი გახდა საიას ქუთაისის ფილიალის დამკვიდრება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გაზლიენან საზოგადოებრივ გაერთიანებად. ჩვენი მრავალრიცხოვანება და ძალადი პრიოქსინალიზმი მაძლევეს იმედს, რომ აჯამალებთ საზოგადოებაში სამართლებრივ ცნობიერებას, დაჯამარცხებთ გამკეებულ ნიბლიზმს და დაჯამკვიდრებთ კანონის უზენაესობას.

მინდა მაღლიერება გამოვხატო თითოეული წევრისა და ყველა იმ ორგანიზაციის მიმართ, რომლებთან თანამშრომლობითაც შესაძლებელი გახდა ჩვენი საქმიანობის განხორციელება და წარმატების მიღწევა. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო ფართო და მრავალისმიოკული იქნება მომავალში, ვინაიდან მხოლოდ ერთობლივი ძლისნმევეთ არის შესაძლებელი საქართველოში დემოკრატიული და კანონის უზენაესობაზე დამყარებული სასკომწიფოს მშენებლობა.

მადონა ბასილაძე

საქართველოს ანაღვანრდა ოერისტთ ასოციაციის
ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე

შესავალი

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალში ხორციელდება ჰოლანდიურ ფონდ “NOVIB”-ის მიერ დაფინანსებული პროექტი “კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის” და “ევროკავშირი”-ს მიერ დაფინანსებული პროექტი “საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს ხელშეწყობა.”

საანგარიშო პერიოდში დასრულდა პროექტი “პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში”, რომელიც ხორციელდებოდა USAID-ის და ფონდ “ევრაზიის” მხარდაჭერით.

ფილიალმა USAID-ის და URBAN INSTITUTE-ის მხარდაჭერით განახორციელა დამოუკიდებელი პროექტი “არჩევნები და მედია.”

საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ფილიალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ჩვენი მიზანია, ადამიანებს დავუბრუნოთ რწმენა, რომ სწორედ მათ ხელშია ყველა პრობლემის მოგვარების ბერკეტი და რომ შესაბამისი სამართლებრივი ცოდნისა და საზოგადოებრივი აქტივობის პირობებში სახელმწიფო ბიუროკრატის ნაკლები შესაძლებლობა რჩება ჩვენი ღირსებისა და უფლებების შელახვისათვის.

ყველა გასვლით შეხვედრაზე, მრგვალ მაგიდაზე, სემინარსა თუ ღონისძიებაზე, საგაზეთო სტატიის, ჩანართის, ბროშურის, ლიფლეტის და მასმედიის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, ვცდილობდით, მოსახლეობისათვის მიგვეწოდებინა სამართლებრივი ინფორმაცია:

1. ინფორმაციის თავისუფლების აქტით მათთვის მინიჭებული უფლებებისა და ამ უფლებებით ეფექტურად სარგებლობის გზების შესახებ;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებისა და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების შესახებ;
3. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებებისა და საკანონმდებლო სიახლეების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კავშირი პროექტის ორ ძირითად მიმართულებას შორის – საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგებს კარგად ეხმიანება მოსახლეობისათვის განუული იურიდიული დახმარება და, პირიქით – იურიდიული დახმარების შედეგია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

იურიდიული დახმარება

აღნიშნული საქმიანობა იყო და რჩება ჩვენი ფილიალის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად. 1996 წლიდან დღემდე ვეხმარებით ყველას, ვინც დახმარებისთვის მოგვემართავს, ვაძლევთ მათთვის აუცილებელ იურიდიულ რჩევებს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, რითაც ვცდილობთ, მოქალაქეებს გავუფანტოთ ნიჰილიზმი, რომელიც ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი გზებით პრობლემების მოგვარების შესაძლებლობის მიმართ არსებობს. სატელეფონო კონსულტაციის გარდა, მკვეთრად იმატა პირადმა კონსულტაციებმა. მოქალაქეებს, რომელთაც არ ძალუძთ, საკუთარი სახსრებით იზრუნონ თავიანთი ინტერესების დაცვაზე, ფილიალი უანგაროდ იცავს სასამართლოში სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე.

კონსულტაციებისათვის აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალება, მოსახლეობაში დიდი რაოდენობით ვრცელდება საინფორმაციო ფურცლები და ბუკლეტები. შეუძლებელია ფილიალის მიერ განეული საკონსულტაციო საქმიანობის მოსარგებლეთა ზუსტი რიცხვის დადგენა. თუმცა, როდესაც საუბარია მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნების დონის ზრდასა და საზოგადოების სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისაკენ შემობრუნებაზე, ეს არის ყველაზე კარგი ინდიკატორი ჩვენ მიერ მიღწეული შედეგების შეფასებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2006 წლის აგვისტოდან, ქუთაისის ფილიალმა დაიწყო ონლაინ-კონსულტაციების გაცემა. ამ მოკლე დროში გაცემულია 216 ონლაინ-კონსულტაცია.

საანგარიშო პერიოდში გაცემულია 23.754 კონსულტაცია:

- სატელეფონო – 6.735
- პირადი – 15.261
- გასვლითი – 3.632
- ოფისში – 11.629
- წერილობითი (გაზეთისათვის) – 91
- წერილობითი (წერილის პასუხად) – 16
- ონლაინ-კონსულტაცია – 216
- სისხლის სამართალსა და პროცესში – 6.698
- ადმინისტრაციულ სამართალსა და პროცესში – 2.585
- საარჩევნო სამართალში – 538 კონსულტაცია
- საკანონმდებლო მასალით დახმარება – 1.153
- სხვა დანარჩენი – 13.933

✓ **საანგარიშო პერიოდში ჩვენი იურისტები 115 დასახლებულ პუნქტში უწევდნენ მოსახლეობას სამართლებრივ დახმარებას.**

ის, რომ საიას ქუთაისის ფილიალის მიმართ ნდობისა და პროფესიონალიზმის ხარისხი რეგიონის მოსახლეობის თვალში მაღალია, დიდწილად სწორედ იღც-ის წარმატებული მუშაობის შედეგია.

✓ **ამავე პერიოდში იღც-ის მიერ მომზადდა 282 სახის სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი:**

- ❖ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ – 35
- ❖ სასარჩელო განცხადება განქორწინების შესახებ – 12
- ❖ განცხადება სამკვიდრო ქონების მიღებაზე ვადის გაგრძელების შესახებ – 12
- ❖ სასარჩელო განცხადება სახელფასო დავალიანების გადახდევინების შესახებ – 10
- ❖ კერძო საჩივარი – 7

- ❖ სააპელაციო საჩივარი – 10
- ❖ საკასაციო საჩივარი – 5
- ❖ განცხადება შვილად აყვანის შესახებ – 3
- ❖ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ – 3
- ❖ სასარჩელო განცხადება არასრულწლოვანი ბავშვის მიკუთვნებისა და ალიმენტის დანიშვნის შესახებ – 10
- ❖ განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ – 5
- ❖ განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ – 6
- ❖ შესაგებელი – 8
- ❖ განცხადება მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ – 2
- ❖ ხელშეკრულებების პროექტი – 21
- ❖ სასარჩელო განცხადება ვალის დაბრუნების შესახებ – 5
- ❖ განცხადება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ – 2
- ❖ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების, გადასინჯვისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ – 2
- ❖ სასარჩელო განცხადება მიუღებელი პენსიის ანაზღაურების შესახებ – 3
- ❖ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ – 2
- ❖ განცხადება ქონებაზე ყადაღის მოხსნის შესახებ – 3
- ❖ სასარჩელო განცხადება მცირეწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ – 3
- ❖ სასარჩელო განცხადება სამუშაოზე აღდგენის შესახებ – 5
- ❖ კავშირის წესდება და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია – 10
- ❖ შპს წესდება – 4
- ❖ სასარჩელო განცხადება საერთო საკუთრების ფართის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვნის შესახებ – 3
- ❖ სასარჩელო განცხადება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ – 4
- ❖ სასარჩელო განცხადება უკანონო სარეკონსტრუქციო სამუშაოების აღკვეთისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ – 3
- ❖ სასარჩელო განცხადება მამად ცნობის შესახებ – 2
- ❖ აღიარებითი სარჩელი საკუთრების უფლების დადგენის შესახებ – 3
- ❖ სასარჩელო განცხადება ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების შესახებ – 2
- ❖ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ – 14
- ❖ სააპელაციო საჩივარი – 4

- ❖ საკასაციო საჩივარი – 5
 - ❖ სარეკომენდაციო წერილი – 2
 - ❖ განცხადება საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ – 1
 - ❖ განცხადება სისხლის სამართლის დევნისა და წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ – 20
 - ❖ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება – 2
 - ❖ განაჩენის ასლის გაცემის შესახებ – 1
 - ❖ წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დადგენილების გაუქმებისა და წინასწარი გამოძიების განახლების შესახებ – 8
 - ❖ აღკვეთის ღონისძიების ბრძანების გაუქმება – 7
 - ❖ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების გადასინჯვის შესახებ – 8
 - ❖ სააპელაციო საჩივრის შესაგებელი – 1
 - ❖ შუამდგომლობა სს საქმეზე დაზარალებულად ცნობის შესახებ – 3
 - ❖ ნასამართლობის მოხსნის შესახებ – 1
- ქუთაისის ფილიალის მიერ წარმომადგენლობა განხორციელდა 56 საქმეზე (სხვადასხვა სტადიებზე), რომლებიც, ჩვენი აზრით, მომმართველთა შორის ყველაზე მეტად საჭიროებდა ადვოკატის სასწრაფო ჩარევას უკანონოდ დაკავების, არასათანადო მოპყრობის, სხვა პროცესუალური დარღვევის თავიდან აცილების მიზნით.
 - წარმატებით დასრულდა სასამართლო პროცესი 12 საქმეზე

ჩვენი დახმარებით და წარმომადგენლობით:

- ✓ დაკმაყოფილდა მოსარჩელე ი. კაპანაძის სასარჩელო განცხადება;
- ✓ ნ. ხურციძის მიმართ შეწყდა წინასწარი გამოძიება;
- ✓ გ. სულავას სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 1 (ერთ) წლამდე.
- ✓ სპეცოპერაციის შედეგად მოკლული პირების მშობლები არკადი ბაბუხაძია, რამინ კიზირია და ნანა ბენდელიანი ცნობილ იქნენ დაზარალებულებად – **პირველი პრეცედენტი საქართველოში.**
- ✓ რ. ცალანის საქმეზე თ. გვარამიას სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმის სახით 10 000 ლარის გადახდა, ხოლო თ. ჩიქოვანს – თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით.
- ✓ დაზარალებულ მ. ჯოჯუას საქმეზე გ. ლიპარტელიანს სასჯელის სახით შეეფარდა 17 (ჩვიდმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
- ✓ რ. ჩაჩუას სასჯელი – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა – შეეცვალა პირობითი სასჯელით იმავე ვადით.
- ✓ განსასჯელ კ. ქარსელაძის მიმართ დაინიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

- ✓ ზ. ამყოლაძის საქმეზე დაკმაყოფილდა განცხადება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ და განახლდა საქმის წარმოება.
- ✓ მ. ბასილაძის საქმეზე დაკმაყოფილდა სასარჩელო განცხადება საკუთრების უფლების დადგენის შესახებ.
- ✓ ვ. ხურციძის სასარჩელო მოთხოვნა, ავტოფარეხის დემონტაჟის შესახებ, დაკმაყოფილდა.

ჩვენ მიერ განუული სამართლებრივი დახმარების შედეგად:

- ❖ ბრალდებულ ა. ჯაშს აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული დაპატიმრება შეეცვალა გირაოს გადახდით 2000 ლარის ოდენობით.
- ❖ მ. ჯაიანის თხოვნით, რ. სუბელიანის მიმართ დაიწყო წინასწარი გამოძიება.
- ❖ ნ. ქურასბედიანს აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული დაპატიმრება შეეცვალა გირაოს გადახდით 3000 ლარის ოდენობით.
- ❖ ხ. გორგოძის საქმეზე დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.
- ❖ ე. ბურჯალიანის საქმეზე გადაისინჯა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ.
- ❖ ნ. კვირიკაძის საქმეზე გაუქმდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დადგენილება და განახლდა წინასწარი გამოძიება.
- ❖ ი. ჩხაიძის საქმეზე დაკმაყოფილდა შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვის შესახებ;
- ❖ ლ. გაბედავას საქმეზე დაკმაყოფილდა შუამდგომლობა შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ;
- ❖ დ. დემეტრაძის მიმართ დაიწყო კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა;
- ❖ ო. ფხაკაძეს მოეხსნა ნასამართლობა;
- ❖ ნ. ბელიაშვილს აღუდგა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დადგენილების გასაჩივრების ვადა;
- ❖ მ. დევიძე სასამართლო კამათის დაწყებამდე ცნობილ იქნა დაზარალებულად;
- ❖ თ. ჩუბინიძის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება;
- ❖ შ. თვალთვაძის სასარჩელო განცხადება არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ აღიმენტის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა;
- ❖ რ. ჩიკვაშვილის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დაკმაყოფილდა;
- ❖ მ. ბალანჩივაძის განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ დაკმაყოფილდა;
- ❖ ნ. ხითარიშვილის სასარჩელო განცხადება საერთო საკუთრების ფართის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვნისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა;

- ❖ ზ. დანელიას განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ ვ. ნაჭყეზიას განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ მ. ხაჭაპურიძის სასარჩელო განცხადება სახელფასო დავალიანების გადახდის შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ ო. დანგაძის სასარჩელო განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ ე. გულიაშვილის განცხადება სამკვიდრო ქონების მიღებაზე ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ ლ. ვარდანაშვილის განცხადება უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნის შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ ვ. მჭედლიძის განცხადება სახელფასო დავალიანების მიღების შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ ვ. ივანეიშვილის განცხადება შვილად აყვანის შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ ლ. ორბელიძის სასარჩელო განცხადება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ მ. ლოსაბერიძის სასარჩელო განცხადება განქორწინების შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ მ. თოდაძის სასარჩელო განცხადება განქორწინებისა და არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ შ. მალაფერიძის სასარჩელო განცხადება ვალის დაბრუნების შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ მ. ჟორჯოლიანის განცხადება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ რ. გაბელაშვილის განცხადება შვილად აყვანის შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ დ. სოფრომაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
 - ❖ ზ. ივანეიშვილის სასარჩელო განცხადება მცირეწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ დაკმაყოფილდა;
 - ❖ ნ. გველესიანმა მიიღო წილი სამკვიდროდან;
 - ❖ რ. სიორდიამ მიიღო სამკვიდრო მონაწილეობა.
- საანგარიშო პერიოდში ფილიალი კვლავ ახორციელებდა უფასო იურიდიულ კონსულტაციებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა შტაბში. ყოველკვირეულად ეწყობოდა გასვლითი კონსულტაცია დევნილთათვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. სულ განხორციელდა 33 გასვლა, გაცემულია 391 კონსულტაცია;
 - ჩვენი ფილიალი, იმერეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის თხოვნით, კვლავ განაგრძობდა გასვლითი კონსულტაციების ორგანიზებას. განხორციელდა 22 გასვლითი შეხვედრა, გაცემულია 251 კონსულტაცია;

- საიას ქუთაისის ფილიალის იდც-ის მიერ ქუთაისის განათლების რესურსცენტრში განახორციელა 5 გასვლა ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის და ბავშვთა მიტოვების პრევენციის საბჭოში მონაწილეობის მისაღებად, გაცემულ იქნა 48 კონსულტაცია.
- განხორციელდა, ასევე, გასვლითი შეხვედრები ქუთაისის მართვის ტერიტორიული სამსახურის თორმეტივე განყოფილებაში, გაცემულია 235 კონსულტაცია.

ადმინისტრაციული სამართალი და ინფორმაციის თავისუფლების აქტი

ადმინისტრაციული სამართალი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ახალი სფერო, საჭიროებს მუდმივ დახვეწასა და ქვეყნის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პოპულარიზაციისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, იმერეთის რეგიონის ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენელთათვის “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით”, “ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსით”, “ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანული კანონით”, “ადგილობრივი თვითმმართველობის” ორგანული კანონით, “ანტიკორუფციული სახელმწიფო პროგრამით” რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით, გაიმართა 8 ტრენინგი და მრგვალი მაგიდა, რომელსაც დაესწრო 130 საჯარო მოხელე.

ადმინისტრაციულ სამართლებრივ საკითხებზე გაცემულ იქნა 2 585 კონსულტაცია. გამოთხოვნილ იქნა 66 საჯარო ინფორმაცია.

“პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში”

30 იანვარს ფილიალში გაიმართა შეხვედრა იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის, რწმუნებულის ფონდის აღმასრულებელი დირექციის თანამშრომლების, მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, იმერეთის მხარეში საიას მიერ განხორციელებული პროექტის “პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში” შედეგების გასაცნობად. პროექტის მიზანს წარმოადგენდა რწმუნებულების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კორუფციასაშიში ზონების გამოკვეთა და კორუფციის აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა, სახელმწიფო რწმუნებულთან დაკავშირებით არსებულ საკანონმდებლო ბაზაში აღმოჩენილი ხარვეზებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც მიენოდათ რწმუნებულის ადმინისტრაციებს. შეხვედრის მსვლელობა გაშუქებულ იქნა ტელეკომპანია “რიონის” და “მეგა-TV”-ის საინფორმაციო გამოშვებებში. შეხვედრის მონაწილეებს დაურიგდათ ფილიალის მიერ მომზადებული ანგარიში პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებზე. ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა და 16 იანვარს გაზეთ “ქუთაისურ ვერსიაში” გამოქვეყნდა სტატია პროექტის ფისკალური მონიტორინგის შედეგებზე.

ოჯახური ძალადობა

ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა და საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად ფილიალში ხორციელდება პროექტი „ტრადიციული საზოგადოება – ოჯახური

ძალადობა”, რაც მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივ დახმარებას. აღნიშნულ საკითხზე დახმარებისათვის მოგვმართა ათეულობით მოქალაქემ, გაცემულ იქნა 200-ზე მეტი კონსულტაცია. მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლების მიზნით, შედგა სატელევიზიო გადაცემა ტელეკომპანია “მეგა-TV”-ის პირდაპირი ეთერით თემაზე „ოჯახში ძალადობის მსხვერპლს საქართველოში კანონი იცავს”. ჩატარდა ტრენინგები კანონპროექტზე – „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”, რომელსაც ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურისა და ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორები და გამომძიებლები, ასევე, მოსამართლეები და მედიის წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში ფილიალმა მოაწყო სემინარები NGO-ების, მედიისა და სტუდენტებისათვის თემაზე – „ოჯახში ძალადობა”. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მისადაგება ადამიანის უფლებების ძირითად დებულებებთან, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში კვლავაც გადაულახავ პრობლემად რჩება. 21 მაისს უფლებადამცველ და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ფილიალში მოეწყო მრგვალი მაგიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის განხილვის მიზნით. გამოიკვეთა ის ხარვეზები, რომლებიც კოდექსის პროექტისათვის არის დამახასიათებელი. კერძოდ, პროექტში არ არის განსაზღვრული, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იძულების გამოყენება, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას პროკურორის მიერ საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ დამტკიცებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპის გამოყენება და სხვა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კანონპროექტში გადმოტანილ იქნა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, კერძოდ, ფარული საგამომძიებო მოქმედება. სსსკ-ის პროექტზე ქუთაისის ფილიალის მიერ მომზადდა დასკვნა, რაც რეაგირებისათვის გადაეგზავნა სათაო ოფისს. პროექტის განხილვის პროცესი, შესაბამისი ინტერვიუებითა და კომენტარებით, გადაიცა “მეგა-TV”-ის საინფორმაციო გამოშვებაში.

ფილიალში 24 ნოემბერს მასმედიის, სტუდენტებისა და NGO სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით განხილულ იქნა “პატიმრობის კოდექსის” პროექტი, გამოიკვეთა კოდექსის პროექტის სუსტი და ძლიერი მხარეები და გამოითქვა რეკომენდაციები მისი სრულყოფისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობა

საიას ქუთაისის ფილიალი თვალყურს ადევნებდა ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც შეეხებოდა ქალაქის მერის დანიშვნას. ქ. ქუთაისში მერის არჩევითობის საკითხის გადამწყვეტის მიზნით, ფილიალმა განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და, “ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოითხოვა ქ. ქუთაისის მერის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. **მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პრეზიდენტს უნდა გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქ. ქუთაისის მერის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ**, რაც არ განხორციელებულა და, რის გამოც, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მოთხოვნა. ამიტომ სასარჩელო განცხადებით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, ქ. ქუთაისის მერის

რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. სასამართლომ სარჩელი დასაშვებად ცნო, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საიას ქუთაისის ფილიალმა ქუთაისის თვითმმართველთა თვითნებობების სამართლებრივი შეფასებისათვის მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, თუმცა, “ნეტარ არიან მორწმუნენი”.

საიას ქუთაისის ფილიალის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გასვლითი შეხვედრები ქ. ქუთაისის მართვის ტერიტორიული სამსახურის მე-12 განყოფილებაში, სადაც საუბარი შეეხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანულ კანონს და იმ აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობისათვის. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა მართვის ტერიტორიული ორგანოს წინაშე მდგარი სამართლებრივი პრობლემის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება სამსახურის სრულყოფისათვის. შეხვედრებს დაესწრო 85 მოსამსახურე, სადაც გაცემულ იქნა 235 კონსულტაცია.

29 ივნისსა და 30 აგვისტოს ფილიალში მოენყო მრგვალი მაგიდა ქუთაისის მართვის ტერიტორიული სამსახურის ხელმძღვანელებთან და საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებასთან, სადაც განხილულ იქნა მართვის ტერიტორიული ორგანოების ოპტიმიზაციის საკითხებზე ფილიალის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ამასთან, ყურადღება დაეთმო იმ საკითხებსა და პრობლემებს, რომლებიც გამოიკვეთა ფილიალის მიერ მართვის თორმეტივე ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებთან შეხვედრების დროს.

გასვლითი კონსულტაციების ფორმატი საანგარიშო პერიოდში სახეშეცვლილი იყო – ოფისის წარმომადგენლები გადიოდნენ რაიონის კონკრეტულ სოფლებსა და თემებში, იკვლევდნენ იქ არსებულ სამართლებრივ პრობლემებს და შემდეგ შემაჯამებელი შეხვედრა ეწყობოდა რაიონულ ცენტრებში, სადაც ისახებოდა გზები არსებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად. თითოეულ რაიონსა თუ სოფელში გამოვლენილ სპეციფიკურ პრობლემებზე ფილიალი დღესაც აგრძელებს მუშაობას. ამ მიზნით, განხორციელდა ფილიალის წარმომადგენელთა დამატებითი გასვლა შესაბამის დასახლებულ პუნქტებში. მომზადდა მიმართვები და რეკომენდაციები ადმინისტრაციული ორგანოებისათვის. სამეგრელოს რეგიონში გამოვლენილ დარღვევებზე კონტროლის პალატიდან გამოთხოვნილი სარევიზიო აქტები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას. საანგარიშო პერიოდში ფილიალის მიერ განხორციელდა გასვლები სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ბაღდათის, ჭიათურის, საჩხერის, ხარაგაულის, ზესტაფონის, ტყიბულის, თერჯოლის, ვანის, აბაშის რაიონებში შემავალ სოფლებსა და თემებში.

თვითმმართველობის არჩევნები და მაღია

საიას ქუთაისის ფილიალმა განახორციელა მონიტორინგი 2006 წლის 5 ოქტომბრის “ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე”. ამ მიზნით, №59 ქუთაისის სარჩევნო ოლქსა და ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში საია დამკვირვებლის მისიას აწარმოებდა წინასწარ განერილი სქემის მიხედვით. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დაკმაყოფილდა ჩვენი მონიტორების მიერ შედგენილი განცხადება-საჩივრები და, ასევე, დაკმაყოფილდა ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა №20-ე უბანზე გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით უბნის შედეგების შემაჯამებელი ოქმების გაბათილებისა და შესაბამისი რეაგირებისათვის მასალების დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურისათვის გადაგზავნაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის – **“საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში”** – ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს URBAN INSTITUTE, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალმა ქვეკონტრაქტორის სახით განხორციელდა პროექტი “არჩევნები და მედია”, რომლის მიზანიც იყო 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ადგილობრივი ელექტორატისა და მედიის თვითშეგნების ამაღლება.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ჩატარდა სემინარები, მოენყო შეხვედრები რეგიონში მოქმედი ბეჭდური და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებისთვის. პროექტი ითვალისწინებდა ხელშეწყობას მასმედიის საშუალებებისთვის, რათა მათ განეხორციელებინათ აქტიური დაკვირვება საარჩევნო პროცესზე, ასევე, მათთვის რეკომენდაციების მიცემას, რათა საზოგადოებისათვის თანაბრად ყოფილიყო ხელმისაწვდომი ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის საარჩევნო კამპანია და წინასაარჩევნო პროგრამები.

მასმედიის საშუალებების წარმომადგენლებს განემარტათ საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრების, აკრედიტაციის და კენჭისყრის დღეს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები. პროექტის ფარგლებში შეხვედრებს დაესწრო მასმედიისა და NGO-თა 134 წარმომადგენელი. 4 ოქტომბერს მოენყო სამოქალაქო აქცია მსვლელობით **“დემოკრატია არ არის კენჭისყრა, დემოკრატია ხმების დათვლა”**. აქციაში მონაწილეობდნენ რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები და მისი მიზანი იყო, საარჩევნო ადმინისტრაციისათვის მოენოდებინა კანონის უზენაესობისაკენ და მოქალაქეებისათვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ის, რომ თითოეულ ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. მშვიდობიანი მსვლელობა საიას ქუთაისის ფილიალიდან №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამდე გაშუქდა, როგორც რეგიონალური, ასევე ცენტრალური მედია საშუალებებით, რამაც კიდევ უფრო რეზონანსული გახადა აღნიშნული პროექტის მნიშვნელობა და ფილიალის აქტივობები რეგიონულ მასშტაბებს გასცდა. პროექტის ფარგლებში მოენყო სატელევიზიო და რადიო გადაცემები.

სტუდენტები ქალის უფლებებისათვის

ორი წლის მზადების შემდეგ (2004-2006) დემოკრატიის ადგილობრივი სააგენტოს ასოციაციამ (ALDA) მიიღო გადაწყვეტილება, რომ პირველი ადგილობრივი სააგენტო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ფარგლებს მიღმა, კერძოდ, ქუთაისში დაეფუძნებინა. საიას ქუთაისის ფილიალი 2004 წლის თებერვლიდან აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ ფილიალი LDA-GEORGIA-ს დაფუძნებისას გამოვიდა პარტნიორად და 2006 წლის 8 სექტემბერს დემოკრატიის განვითარების ადგილობრივი სააგენტოს საქართველოს პარტნიორებს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ჩვენმა ფილიალმა წარადგინა პროექტი “სტუდენტები ქალის უფლებებისათვის,” რაც ALDA-ს ხელმძღვანელების მიერ სტრასბურგში დადებითად შეფასდა და საიას ქუთაისის ფილიალში LDA-GEORGIA-ს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი „სტუდენტები ქალის უფლებებისათვის“. პროექტის მიზანია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ქალთა უფლებების სწავლება წინასწარ განსაზღვრული პროგრამით. ეს გულისხმობს ერთწლიან სასწავლო კურსს, რომელიც მოიცავს სამ ეტაპს, რაც გულისხმობს არა მარტო თეორიული მასალის მიწოდებას,

არამედ პრაქტიკული სახის მეცადინეობებს და იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზებას. პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა შეხვედრა-სემინარები ბენეფიციარებისთვის. პირველ ეტაპზე ჩატარდა 7 სემინარი, რომელსაც ესწრებოდა 280 სტუდენტი.

კანონპროექტის სამართლებრივი ექსპერტიზა

საანგარიშო პერიოდში მომზადდა რეკომენდაციები და წინადადებები “კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების კანონპროექტზე”; “პატიმრობის კოდექსის” კანონპროექტსა და პატიმრობის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებზე; “სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის” ცვლილებების კანონპროექტზე; “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და ძალადობის შესახებ” კანონპროექტზე, ასევე, “ადამიანთ ვაჭრობის, (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კანონპროექტზე, რაც რეაგირებისათვის გადაეგზავნა სათაო ოფისს.

განათლების რეფორმა

ფილიალში გაიმართა რამდენიმე მრგვალი მაგიდა და სადისკუსიო შეხვედრა, როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების კანონში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით. გამოითქვა შესაბამისი შენიშვნები და რეკომენდაციები.

პროექტის “განათლების რეფორმის ინტეგრირების ხელშეწყობა” ფარგლებში წყალტუბოს, სამტრედიის, ზესტაფონის, თერჯოლის, ქუთაისის საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდა 5 ტრენინგი ზოგადი და უმაღლესი განათლების კანონების და მოსწავლეთა უფლებების შესახებ. დატრენინგდა 85 მოსწავლე და გაცემულ იქნა 150 კონსულტაცია.

გასვლითი შეხვედრები მოეწყო თერჯოლის, ზესტაფონის, სამტრედიის, წყალტუბოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებთან “საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრის არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის და რეგისტრაციის წესის შესახებ” განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანების გაცნობის მიზნით. განხორციელდა 5 გასვლითი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 105 პედაგოგი და გაცემულ იქნა 100 კონსულტაცია.

საიას ქუთაისის ფილიალში ფუნქციონირებს “საკვირაო სკოლა”, რომელიც გულისხმობს უფროსკლასელთათვის სამართლის საფუძვლების სწავლებას და მათ მომზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. სულ ჩატარდა 13 სემინარი, ესწრებოდა 93 მსმენელი. მსმენელებს, ასევე, უტარდებათ სემინარი პრაქტიკულ სამართალში.

არასრულწლოვანთა სამართლებრივი განათლების ჯგუფის მიერ პრაქტიკული სამართლის სწავლება მიმდინარეობს ქუთაისის №1, №2, №3, №17, №32, №36 საჯარო სკოლაში. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა პრაქტიკული სამართლის 20 გაკვეთილი, რომელსაც ესწრებოდა 232 მოსწავლე.

27 მაისს გაიმართა ბრეინ-რინგი პრაქტიკული სამართლისა და საკვირაო სკოლის გუნდების მოსწავლეთათვის, რომელშიც მონაწილეობდა 7 გუნდი. ბრეინ-რინგი ჩატარდა 2 ტურად. პირველ ტურში შეირჩა 4 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი, მეორე ტურით კი, გამოვლინდა საპრიზო ადგილების მფლობელი გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა გუნდმა “ნიკე”, გამოვლინდა წლის საუკეთესო მოსწავლე, რომელიც საიას

ქუთაისის ფილიალთან ერთად დააჯილდოვა UNDP-ის წარმომადგენელმა თენგიზ თოფურიძემ. ბრენ-რინგმა გამოავლინა აგრეთვე ჟიურის სიმპათია, კონსტიტუციის საუკეთესო ინტერპრეტატორი, წლის საუკეთესო და პერსპექტიული ტრენერები, რომლებიც დაჯილდოვდნენ საიას ქუთაისის ფილიალის მიერ.

ფილიალში ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა. 2006 წელს, ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, იურიდიული დახმარების ცენტრში შერჩეულ იქნენ თანაშემწეები: ფიქრია ქლიბაძე, ნინო თვალთვაძე, ინგა თვარაძე, სოფიო ჯიმშელიაშვილი, ინგა მალაფერიძე, სალომე ნიჟარაძე, თამუნა ობოლაძე, მაია ხვადაგიანი და სოფიო ჭელიძე, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ფილიალის საქმიანობაში, მონაწილეობენ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტებისა და განცხადებების მომზადებაში. იდც-ის თანაშემწე რამაზ კვარაცხელია ახორციელებს წვევამდელთა უფლებების დაცვის მონიტორინგს.

ფილიალში არსებულ ვაკანსიაზე გამოცხადდა კონკურსი იდც-ის იურისტის თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის საფუძველზე, შერჩეულ იქნა გიორგი ჭიქაბერიძე, რომელიც აქტიურად ჩაება საიას ქუთაისის ფილიალის საქმიანობაში.

ფილიალის მიერ იმერეთის, სამეგრელოს და აჭარის მაღალმთიანეთში განხორციელდა 50 გასვლა, გაცემულია 2000 კონსულტაცია. მოსახლეობასთან შეხვედრებზე გამოკვეთილი სამართლებრივი პრობლემების გადანყვეტის მიზნით, ფილიალი დღესაც აგრძელებს მუშაობას და რეკომენდაციების მომზადებას რეაგირებისათვის.

იურიდიული განათლება

საანგარიშო პერიოდში ფილიალი აქტიურად საქმიანობდა სამართლებრივი ინფორმაციის გავრცელებისა და იურისტთა პროფესიული დაოსტატებისათვის, რაც გამოიხატებოდა შემდეგში:

1. ყოველკვირეული სემინარები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის;
2. ერთჯერადი სემინარები და მრგვალი მაგიდები სხვადასხვა აქტუალურ სამართლებრივ საკითხსა და საკანონმდებლო სიახლეებზე. ამ მიზნით, ჩატარდა 20-ზე მეტი შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 200-ზე მეტი სტუდენტი.

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალში სემინარები მიმდინარეობდა სისხლის, სისხლის პროცესის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო, სამეწარმეო სამართალში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. სულ ჩატარებულ იქნა 42 სემინარი, რომლებსაც დაესწრო 332 მსმენელი.

13 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ჩატარებულ იქნა საიას ქუთაისის ფილიალისა და “ახალი გაზეთის“ მიერ ორგანიზებული ოლიმპიადის “ჩვენ და ადმინისტრაციული სამართალი“ პირველი ტური. ოლიმპიადაში მონაწილეობდა 4 გუნდი: “ატაგენუსი“, ”ბონაფიდე“, “კაზუსი“ და “უსახელო“. ჩატარდა 4 იმიტირებული პროცესი. ჟიურის მიერ გამოვლინდა 2 გამარჯვებული გუნდი, რომლებიც გავიდნენ მეორე ეტაპზე. მეორე ტური გაიმართა 27 მაისს, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი, საუკეთესო მოსარჩელე, საუკეთესო მოპასუხე, საუკეთესო მოსამართლე. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები გაზეთ “ახალი გაზეთისა“ და საიას ქუთაისის ფილიალისგან.

18 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საიას ქუთაისის ფილიალის მიერ ორგანიზებულ იქნა იმიტირებული პროცესი და დებატები თემაზე: “სამართლიანი თუ სამართლებრივი”. ღონისძიება შედგებოდა სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები, მათი უფლება-მოვალეობანი, ვერდიქტის მნიშვნელობა და გამოტანის წესი. ამის შემდეგ დამსწრეთაგან შერჩეულ იქნა 12 ნაფიცი მსაჯული, მეორე ნაწილში ფილიალის მიერ წარმოდგენილ იქნა იმიტირებული სასამართლო პროცესი, პროცესის მიმდინარეობისას ყველა მონაწილეს შესაძლებლობა ჰქონდა, დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება საქმესთან დაკავშირებით კედელზე გაკრულ “ფლიპჩარტებზე” წარწერით: “ბრალდებულის სასარგებლოდ”, “ბრალდებულის საწინააღმდეგოდ”. პროცესის დასრულების შემდეგ ნაფიც მსაჯულებს მიეცათ დრო ვერდიქტის გამოსატანად. ვერდიქტის გამოტანის შემდეგ გაიმართა დებატები თემაზე “სამართლიანი თუ სამართლებრივი.” დებატები საინტერესოდ წარიმართა. ღონისძიება გაშუქდა ტელეკომპანია “რიონისა” და “მეგა-TV”-ის საინფორმაციო გამოშვებებში.

საანგარიშო პერიოდში ფილიალში კვლავ გრძელდებოდა პროექტი იმერეთის რეგიონის პრესისა და მასმედიის წარმომადგენელთა სამართლებრივი თვითშეგნების ასამაღლებლად როგორც წინასწარ ორგანიზებული თემატური ციკლით, ისე ერთჯერადი სემინარებისა და საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის გზით. “მეგა-TV”-ის ოფისში დამწყები ჟურნალისტებისათვის ფილიალის პროგრამების დირექტორის მიერ ჩატარდა 24 სემინარი სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის შესახებ. ნოემბრის თვეში მოენყო ჟურნალისტთა ტესტირება, გამარჯვებულები ფილიალის მიერ დაჯილდოვდნენ საჩუქრებით.

მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სტუდენტთათვის ჩატარდა 48 ერთჯერადი სემინარი: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №30 ბრძანების “საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრის არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის და რეგისტრაციის წესის შესახებ”; ასევე, “პატიმრობის კოდექსის პროექტის” შესახებ; “საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”; “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”; “სახელმწიფო პენსიის შესახებ”; “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”; “საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”; “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების და დამატებების შესახებ”; “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”; “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ”; “ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ”; “საარჩევნო კოდექსის ცვლილებების შესახებ”; შეხვედრა ნოტარიუსებთან მოქმედი კანონმდებლობის ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; მართვის ტერიტორიული ორგანოების ოპტიმიზაციის საკითხებზე ფილიალის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე; “თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ”; „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის კანონის შესახებ”; “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ”; რომლებსაც დაესწრო 560 მონაწილე.

წინასწარ განისაზღვრებოდა მრგვალი მაგიდის ორგანიზების მიზანი, ჩვენი მოლოდინი, ამავე დროს, მნიშვნელოვანი იყო მრგვალი მაგიდის, საინფორმაციო და სადისკუსიო შეხვედრების ერთგვარი შეფასება და ამ კუთხით შემდგომში მუშაობის გაგრძელება, რამაც გარკვეულწილად ციკლური ხასიათი მიიღო და მუშაობაც უფრო კომპლექსურად

მიმდინარეობდა, რადგანაც პრობლემის მოგვარება, ჩვენი აზრით, კომპლექსური მუშაობით უფროა შესაძლებელი, ვიდრე ერთჯერადი თემატური ღონისძიებებით.

ფილიალში ტრადიციულად გრძელდებოდა NGO–თა ყოველთვიური საინფორმაციო შეხვედრა საიას ქოლგის ქვეშ. შეხვედრაზე განიხილებოდა მესამე სექტორის განვითარებისა და პერსპექტივების საკითხები, არ დარჩენილა რეგიონის ან ქვეყნის წინაშე მდგარი არც ერთი სამართლებრივი პრობლემა, როგორცაა მწვავე ენერგეტიკული კრიზისი, თვითმმართველობის პრობლემატიკა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება, დევნილთა განსახლების სტრატეგია, ქვეყნის დეცენტრალიზაცია, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ელექტროენერჯის ბიუჯეტით ანგარიშსწორება, ტრეფიკინგი, ოჯახში ძალადობა და სხვა, რომელზეც არ მომხდარა შეხვედრაზე მსჯელობა. სულ შედგა 10 შეხვედრა, მონაწილეობდა NGO–თა 150 წარმომადგენელი. ყველა შეხვედრა შუქდებოდა ტელეკომპანია “რიონისა” და “მეგა-TV”-ის საინფორმაციო გამოშვებებში.

- ფილიალში დაინერგა “ცხელი ხაზი” 4-11-92, რის შესახებაც საზოგადოება ინფორმირებულ იქნა “საინფორმაციო ფურცლით”. “ცხელი ხაზის” მეშვეობით ხდებოდა იურიდიული კონსულტაციების გაცემა ქუთაისის №2 და გეგუთის №8 კოლონიის სასჯელაღსრულების დანესებულებებში მყოფი ბრალდებულების, მსჯავრდებულებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. ფილიალში მოეწყო რამდენიმე შეხვედრა ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დანესებულების მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი კომისიის წევრებსა და სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოთავსებულ პირთა ოჯახის წევრებთან. 7 ივლისს ფილიალში მოეწყო პრესკონფერენცია “პატიმრობის შესახებ” კანონში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაზეც მომზადდა სამართლებრივი დასკვნა და გადაეგზავნა შესაბამის ადრესატებს რეაგირებისათვის.
- ფილიალის მიერ მომზადდა და რადიო “ძველი ქალაქის” ეთერით გავიდა 4 რადიო გადაცემა “არჩევნები და მედია”, “პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში”; “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”; “თვითმმართველობის ახალი კანონმდებლობის მიმოხილვა”.
- მოეწყო ტელეგადაცემა ტელეკომპანია “მეგა-TV”-სა და ტელეკომპანია “რიონი”-ს პირდაპირ ეთერში თემებზე “არჩევნები და მედია” და “ოჯახში ძალადობის მსხვერპლს საქართველოში კანონი იცავს”.
- ფილიალში გამართული ყველა შეხვედრა, სემინარი, მრგვალი მაგიდა, პრესკონფერენცია შესაბამისი ინტერვიუებით შუქდებოდა რეგიონის ტელეკომპანიების “რიონი”-ს და “მეგა-TV”-ის საინფორმაციო გამოშვებებში, ასევე, ცენტრალური ტელევიზიებისა და პრესის მეშვეობით, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ.
- ფილიალის მიერ განხორციელდა რამდენიმე აქცია, კერძოდ; “სიცოცხლის სიგნალი”; “სიკვდილის ბრიგადების წინააღმდეგ”; “სიცოცხლის უფლება”; “დემოკრატია არ არის კენჭისყრა, დემოკრატია ხმების დათვლაა”; “ბავშვის მომავალი სიღარიბის გარეშე”.
- საიას ქუთაისის ფილიალის მიერ და მისივე მონაწილეობით გაიმართა პრესკონფერენციები: კერძოდ 10 იანვრის პრესკონფერენციაზე დაიგმო საიას რიგი წევრების საქციელი, გაცხადდა საიას პოზიცია სანესდებო ამოცანებიდან

და საერთო კრების გადაწყვეტილებიდან გამომდინარე. 7 ივლისს მოენყო პრესკონფერენცია “პატიმრობის შესახებ” კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით. 11 მარტს გაზეთ “P.S”-ის რედაქციაში გამართულ NGO-ებისა და პოლიტიკურ პარტიათა ერთობლივ პრესკონფერენციაზე დაიგმო სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტი და რეგიონში ბოლო დროს კანონდარღვევით განხორციელებული სპეცოპერაციები. 22 მაისს საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს ეგიდით გამართულ პრესკონფერენციაზე ასევე დაიგმო რევაზ კახიანის განზრახ მკვლელობის ფაქტი. 1 ოქტომბერს ფილიალში პრესკონფერენცია მოენყო მონიტორების მიერ გამოვლენილ საარჩევნო პროცედურების დარღვევების ფაქტებზე.

ექსპერტაჟალ მონანილოზა

საანგარიშო პერიოდში ფილიალის ხელმძღვანელები და წარმომადგენლები 305-ჯერ ვმონანილოზბდით სხვადასხვა პროგრამის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და საჯარო დისკუსიებში, სადაც ვაფიქსირებდით ჩვენს პოზიციას განსახილველ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ: ქალთა უფლებებზე – 5, ბიუჯეტის მონიტორინგზე – 4, NGO-თა საკითხებზე – 5, კანონპროექტებსა და კანონებზე – 11, უმაღლესი სასწავლებლების მონიტორინგზე – 4, ი.გ.პ-თა საკითხებზე – 15, ოჯახურ ძალადობაზე – 7, საგადასახადო ინსპექციაზე – 3, ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციაზე – 5, პროექტების პრეზენტაციაზე – 15, მიმდინარე პროექტებზე – 5, ზურაბ ჟვანიას კოლეჯში – 10, NGO-ების ქოლგის ქვეშ – 12, თვითმმართველობასა და ქალებზე – 8, პენიტენციალური სისტემის რეფორმაზე – 10, საინფორმაციო შეხვედრაზე – 33, პროკურატურის საკითხებზე – 5, სოციალურ საკითხებზე – 6, ორგანიზაციის დაფუძნებაზე – 9, მონიტორინგი და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა – 5, ადამიანის უფლებებზე – 5, ექსპერტად კომისიებში – 4, ენერგეტიკული კრიზისი – 3, სხვა ქვეყნის გამოცდილება თვითმმართველობაში – 5, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვაზე – 32, კოალიციური პროექტები – 10, NGO-თა კონგრესი – 2, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულყოფაზე – 3, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა – 2, NGO-თა ორგანიზაციული განვითარება – 10, საარჩევნო საკითხები – 11, გამოხატვის თავისუფლებაზე – 5, ეკო-მიგრანტებზე – 3, მედიზე – 1, სასამართლო რეფორმაზე – 3, ადგილობრივ თვითმმართველობაზე – 29. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენს ექსპერტებს თავად უწევდათ შეხვედრების ფასილიტაცია, რა დროსაც გამოირჩეოდნენ საკითხის ცოდნითა და ღრმა ანალიზით.

ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვნად გაიზარდა საიას ქუთაისის ფილიალის ბიბლიოთეკაში იურიდიული ლიტერატურის რაოდენობა. სათაო ოფისიდან მიღებულ იქნა 57 დასახელების 120 ერთეული წიგნი, შემონირულობის სახით მიღებულია 27 დასახელების 48 წიგნი. ამჟამად ბიბლიოთეკაში არის 1950 წიგნი, ყოველდღიურად ფილიალის ბიბლიოთეკით სარგებლობს ათეულობით სტუდენტი, ასპირანტი, პრაქტიკოსი მუშაკი და სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებული სხვა პირი. საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკით ისარგებლა 5172-მა მკითხველმა.

საიას ქუთაისის ფილიალი მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციას, რომლებთან თანამშრომლობითაც შესაძლებელი გახდა იმ საქმიანობის განხორციელება და წარმატების მიღწევა, რაც ანგარიშში ვრცლად არის ასახული. იმედს გამოვთქვამთ, რომ ახალ სამუშაო წელს თანამშრომლობა მათთან კვლავ გაგრძელდება, ვინაიდან მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი იმ ამოცანათა გადაჭრა, რაც მესამე სექტორს ავალთ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში.

- გაეროს ასოციაციის იმერეთის ფილიალი
- ასოციაცია “საჩინო”
- ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი
- “სამართლიანი არჩევნები”-ს ქუთაისის რეგიონული ოფისი
- “საეა”-ს იმერეთის ფილიალი
- დახმარების საერთაშორისო ფონდი
- დედათა და ბავშვთა დაცვის ლიგა
- ჰუმანიტარულ-კულტურული ფონდი “სოხუმი”
- ქალთა ქსელის წევრი ორგანიზაციები
- საქართველოს სახალხო დამცველის იმერეთის წარმომადგენლობა
- “მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის” ქუთაისის ოფისი
- ფონდი “აფხაზინტერკონტი”
- კავშირი “განათლება და სამყარო”
- ასოციაცია “ასა”
- “ღია საზოგადოება ახალი ქუთაისი”
- “ქუთაისი-ნიუპორტი “ საერთაშორისო ასოციაცია
- კავშირი “სპექტრი”
- LDA-GEORGIA
- URBAN INSTITUTE
- “ახალგაზრდობა სამოქალაქო განვითარებისათვის”
- გაზეთი “ახალ გაზეთი”
- “მეგა-TV”
- “ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი”
- ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი
- “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო”-ს იმერეთის წარმომადგენლობა
- იმერეთის რეგიონის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი
- UNDP-გაეროს განვითარების პროგრამა.

გამგეობის წევრები:

1. მადონა ბასილაძე (თავმჯდომარე)
2. თამარ ფაჩულია
3. თეონა ჟუჯავა
4. ნინო გეგეუშიძე
5. დავით ლაჭარბი